



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ინფლაცია საქართველოში
2021
მაისი



03.06.2021

www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

03.06.2021

ინფლაცია საქართველოში


2021 წლის მაისი

2021 წლის მაისში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 0.7 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 7.7 პროცენტი შეადგინა.


რაც შეეხება საბაზო ინფლაციას¹, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2021 წლის მაისში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6.5 პროცენტი შეადგინა, თამბაქოს გარეშე წლიური საბაზო ინფლაციის² მაჩვენებელი კი 6.4 პროცენტით განისაზღვრა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში წინა თვესთან შედარებით.

პროცენტული ცვლილება წინა თვესთან შედარებით



ჯგუფების წვლილი* 2021 წლის მაისის ინფლაციაში (სულ 0.7%)



ინფლაციის დონე, სულ

0.7

* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.

¹ საბაზო ინფლაციის გაანგარიშება ხდება სამომხმარებლო კალათიდან შემდეგი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების გამორიცხვით: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები; ენერგომატარებლები; ადმინისტრირებადი ტარიფები; ტრანსპორტი (ცალკეული ტარიფები).

² თამბაქოს გარეშე საბაზო ინფლაციის გაანგარიშება ხდება სამომხმარებლო კალათიდან შემდეგი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების გამორიცხვით: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები; თამბაქო; ენერგომატარებლები; ადმინისტრირებადი ტარიფები; ტრანსპორტი (ცალკეული ტარიფები).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

03.06.2021

ყოველთვიური ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

ტრანსპორტის ჯგუფში ფასები გაიზარდა 2.0 პროცენტით, რაც 0.26 პროცენტული პუნქტითა ისახა მთლიანი ინდექსის ცვლილებაზე. ფასები გაიზარდა პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (2.8 პროცენტი);

სასტუმროები, კაფეები და რესტორნები: ფასები გაიზარდა 1.4 პროცენტით. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა თვის ინდექსში შეადგინა 0.09 პროცენტული პუნქტი. ფასების მატება დაფიქსირდა როგორც ღამის გასათევით მომსახურების (2.5 პროცენტი), ისე საზოგადოებრივი კვების (1.3 პროცენტი) ქვეჯგუფებზე;

ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 1.7 პროცენტიანი მატება, რაც თვის ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0.09 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები გაიზარდა ქვეჯგუფებზე: ავეჯი, საოჯახო ნივთები, ხალიჩები და სხვა იატაკის საფარი (3.4 პროცენტი), მინის ჭურჭელი, მაგიდის და საოჯახო ჭურჭელი (3.2 პროცენტი), ინსტრუმენტები, მოწყობილობა და ტექნიკა სახლისა და ბაღისთვის (2.2 პროცენტი), ყოველდღიური საყოფაცხოვრებო საჭიროების საქონელი და მომსახურება (2.1 პროცენტი), საოჯახო საფეიქრო ნაწარმი (2.0 პროცენტი);

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი 2021 წლის მაისის წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


03.06.2021

პროცენტული ცვლილება წინა წლის
შესაბამის თვესთან შედარებით

%

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	3.3
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	6.8
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	5.3
საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი	6.6
ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა	12.0
ჯანმრთელობის დაცვა	13.4
ტრანსპორტი	17.4
კავშირგაბმულობა	-0.4
დასვენება, გართობა და კულტურა	3.9
განათლება	1.3
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	11.8
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	7.0

ჯგუფების წვლილი* 2021 წლის მაისის ინფლაციაში წინა
წლის შესაბამის თვესთან შედარებით, (სულ 7.7%)



ინფლაციის დონე, სულ

7.7

* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

ტრანსპორტის ჯგუფში ფასები გაიზარდა 17.4 პროცენტით, რაც 2.08 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაზე. ფასები გაიზარდა პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (26.7 პროცენტი) და სატრანსპორტო მომსახურებაზე (1.6 პროცენტი). ამასთან, ფასები შემცირდა სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (-3.2 პროცენტი);

საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 6.6 პროცენტიანი მატება, რაც 1.09 პროცენტული პუნქტით აისახა წლიურ ინფლაციაზე. ფასები გაიზარდა ქვეჯგუფებზე: ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები (8.4 პროცენტი), წყალმომარაგება და საცხოვრებელთან დაკავშირებული სხვა მომსახურება (4.5 პროცენტი), საცხოვრებლის მიმდინარე მოვლა და შეკეთება (3.2 პროცენტი). ამავე პერიოდში ფასები შემცირდა საცხოვრებლის ფაქტიურ გადასახადზე (-9.4 პროცენტი);

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები გაიზარდა 3.3 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 1.07 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია შემდეგ ქვეჯგუფებზე:


საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

03.06.2021

ზეთი და ცხიმი (42.7 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (13.7 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (8.0 პროცენტი), ყავა, ჩაი და კაკაო (8.0 პროცენტი), თევზბული (7.6 პროცენტი), მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (7.2 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (6.0 პროცენტი), პური და პურპროდუქტები (5.8 პროცენტი). ამასთან, ფასები შემცირებულია ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე (-23.3 პროცენტი), ასევე ხილსა და ყურძენზე (-20.9 პროცენტი);

ჯანმრთელობის დაცვა: ჯგუფში ფასები მომატებულია 13.4 პროცენტით, რაც 1.01 პროცენტული პუნქტით აისახა წლიურ ინდექსზე. ფასები გაიზარდა სამედიცინო პროდუქციის, აპარატურისა და მოწყობილობის (19.5 პროცენტი), ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების (11.9 პროცენტი) და საავადმყოფოების მომსახურების (4.4 პროცენტი) ქვეჯგუფებზე.


ყოველთვიური ინფლაცია



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


03.06.2021

წლიური ინფლაციის დონა საქართველოში (წინა წლის შესაბამის თვესთან, პროცენტული ცვლილება)



საშუალო ინფლაციის დონა საქართველოში

(12 თვის საშუალო წინა 12 თვის საშუალოსთან, პროცენტული ცვლილება)



საკონტაქტო პირი:

გიორგი თეთრაული

ტელ.: (+995 32) 236 72 10 (400)

E-mail: gtetrauli@geostat.ge